# ღონისძიებათა გეგმა

## ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა

2015-2017

| ამოცანა 1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცების ხელშეწყობა | | |
|---|---|---|
| საკითხი | აქტივობა | შენიშვნა |
| 1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტი | 1.1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დამტკიცებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და შემდგომი ჩასწორება, იმგვარად რომ არ დაირღვეს ჩარჩოს სტრუქტურა, არსი და მისი შესაბამისობა EQF-LLL-თან<br><br>1.2. ნორმატიული აქტების პროექტების განხილვისას კომუნიკაცია და კოორდინირება ქვესისტემებთან (ზოგადი, პროფესიული უმაღლესი), ისევე როგორც ავტორიზაცია -აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შემმუშავებელ ჯგუფთან<br><br>1.3. უმაღლეს განათლებაში საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და კვალიფიკაციების სახელწოდების განსაზღვრის წესის დამატებითი განხილვა უსდ-თან (მ.შ. პ.7 და 9.3) | 1.1. ცვლილებების პაკეტი მოიცავს ცვლილებებს 4 კანონსა და რამდენიმე ქვენორმატიულ აქტში<br><br>1.2. ესგ-ს ახალ პროექტი, პროფესიული განათლ. კანონპროექტი, მასწავლებელისმომზადე ბის პროგრამა, სხვა პრობლემური კვალიფიკაციები |
| ამოცანა 2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - აღიარება და LLL | | |
| საკითხი | აქტივობა | შენიშვნა |
| 2. "ევროპასის" დოკუმენტების, უპირველეს ყოვლისა კი და სერტიფიკატის დანართის შემოღება | 2.1. სერტიფიკატის დანართის ოფიციალური დოკუმენტის თარგმნა და ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება<br><br>2.2. სერტიფიკატის დანართისთვის Cedefop-ის მიერ მომზადებული აქტიური ზმნების ლექსიკონის თარგმნა<br><br>2.3. ტრენინგების მომზადება და ჩატარება სერტიფიკატის დანართთან | 2.1. გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებით<br>2.2. ესაა მულტილინგვური ლექსიკონი, რომელიც |

| | | |
|---|---|---|
| | დაკავშირებით<br><br>2.4. “ევროპასის” სხვა დოკუმენტების შემოსაღებად სამუშაო ჯგუფის შექმნა და ღონისძიებათა გეგმის მომზადება | ხელს უწყობს სერტიფიკატის დანართის სწორ თარგმანს ინგლისურად. https://europass.cedefop.europa.eu/en/documents/european-skills-passport/certificate-supplement/action-verbs-glossary |
| 3. დიპლომის დანართი | 3.1. დიპლომის დანართის მერვე პუნქტის შემუშავება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების/რეფერენსირების შემდეგ<br><br>3.2. დიპლომის დანართში კვალიფიკაციების დონის ასახვასთან დაკავშირებით საინფორმაციო სემინარის ჩატარება უსდ-თვის | მხოლოდ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების/ რეფერენსირების შემდეგ (იხ. პ. 11 და პ. 12) |
| 4. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა და წესები პროფესიული განათლებისათვის | 4.1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებისა და წესის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნა<br>4.2. არაფორმალური განათლების აღიარების არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლა<br>4.3. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებისა და წესის დოკუმენტის პროექტის შემუშავება<br>4.4. განხილვა სამუშაო ჯგუფსა და დაინტერესებულ მხარეებთან<br>4.5. ქვენორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბება<br>4.6. ტრენინგების მასალის შემუშავება TOT- თვის<br>4.7. ტრენინგების ჩატარება და ტრენერების მომზადება | |
| 5. ზრდასრულთა განათლება და საბაზო უნარები | 5.1. საბაზო უნარების სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (უპ. ყოვლისა - ციფრული წიგნიერება, მეწარმის უნარ-ჩვევები ) და მათი დონის განსაზღვრა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მიმართებაში<br><br>5.2. ევროპული ენების ჩარჩოს შესაბამისად ქართულის როგორც მეორე ენის (ასევე უცხო ენის) A1- C1/C2 დონის კურსებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, ავტორიზაციის სტანდარტების დადგენა, შეფასების მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება | 5.2. საჭიროებს სერიოზულ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს და არის გრძელვადიანი |

| ამოცანა 3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა | | |
|---|---|---|
| საკითხი | აქტივობა | შენიშვნა |
| 6. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, დონის აღმწერები და სწავლის შედეგები | 6.1. საინფორმაციო სემინარები და/ან ტრენინგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ (დამტკიცების შემდეგ)<br><br>6.2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსებისათვის სწავლის შედეგების ჩამოსაყალიბებლად რეკომენდაციების შემუშავება და ცენტრის მიერ დამტკიცება<br><br>6.3 ტრენინგები სწავლის შედეგებზე უსდ-თვის, ექსპერტებისთვის | 6.2. კანონი ხარისხის განვითარების შესახებ - მ. 5. პ "ა" - ცენტრი ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რა მიზნითაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს; |
| 7. განათლების სფეროების კლასიფიკატორები მ.შ. ISCED–F -2013-ის შესაბამისი განათლების სფეროების ჩამონათვალი | 7.1. სამუშაო ჯგუფის შექმნა<br>7.2. დოკუმენტის პროექტის მომზადება მხოლოდ საბაკალავრო დონისათვის.<br>7.3. ძველი და ახალი ჩამონათვალის შესაბამისობის დადგენა.<br>7.4. განხილვები სამუშაო ჯგუფში<br>7.5. სამუშაო შეხვედრები და განხილვები უსდ-თან<br>7.6. ბრძანების პროექტის მომზადება<br><br>7.7. სამაგისტრო დონეზე სპეციალიზაციის შემოღების წესის განსაზღვრა ავტორიზაციის დებულებით, უსდ-თან განხილვა (იხ. ასევე 1.3).<br><br>7.8. სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე პროფესიული სპეციალიზაციების ოფიციალური რეესტრის შექმნა და საჯაროობის უზრუნველყოფა | 7.1. სამუშაო ჯგუფში უნდა ჩაერთოს სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელიც. ISCED -2013 არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საერთაშორისო დონეზე სტატისტიკის შესაგროვებლად. მას ეფუძნება ასევე Eurostat-იც<br><br>7.8. რეესტრის შექმნის საფუძველი განისაზღვროს კანონით |
| 8. რეგულირებადი პროგრამების (მ.შ. საერთაშორისო დონეზე) ხარისხის უზრუნველყოფა | 8.1. კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, სამივე რეგულირებადი პროგრამისთვის სპეციალური სააკრედიტაციო სტანდარტის შემუშავება<br><br>8.2. დარგობრივი დოკუმენტების შემუშავებისას, ასევე უმაღლესი და სადაც შეეხება პროფესიული განათლების პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტისათვის 2005/36/EC- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ" დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინება შემდეგი პროგრამებისთვის:<br>- ექიმი | 8.2. დირექტივის პ.10-ის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნები მესამე ქვეყნის კვალიფიკაციას აღიარებენ ამ დირექტივით განსაზღვრული |

| | | |
|---|---|---|
| | - სტომატოლოგი<br>- არქიტექტორი<br>- ექთანი<br>- ბებიაქალი<br>- ფარმაცია<br>- ვეტერინარი-ქირურგი<br><br>8.3. საზღვაო სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების (უმაღლესი და პროფესიული) ავტორიზაცია /აკრედიტაციისათვის სტანდარტების შემუშავება IMO-ს მოთხოვნების საფუძველზე. | მინიმალური მომზადების პირობების გათვალისწინებით |
| 9. ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტის მოთხოვნების საფუძველზე; | 9.1 შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნა და პროფესიულ განათლებაში ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის No 2009/C 155/01 დოკუმენტის პრინციპების გათვალისწინებით პროფესიული განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტის დახვეწა<br><br>9.2. კოორდინირება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან<br><br>9.3. უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამებისათვის დამოუკიდებელი საავტორიზაციო სტანდარტის შემუშავება<br><br>9.4. უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამებში ECVET-ის კრედიტების ტრანსფერის შესაძლებლობისა და წესების განსაზღვრა | 9.1. “Recommendation No 2009/C 155/01 of European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training” |
| 10. უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომი განვითარება | 10.1. ავტორიზაციის პრინციპებისა და სტანდარტების გადახედვა (მ.შ. იხ. 9.3.)<br><br>10.2. ფოკუსი განვითარებაზე; აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია ( საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარება, საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა აკრედიტაციის პროცესში), ასევე ცენტრისთვის საერთაშორისოაღიარების მოპოვება და ENQA-სწევრობის უზრუნველყოფა. | 10.1 და 10.2 მიმდინარეობს მუშაობა |
| **ამოცანა 4. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირება QF-EHEA -თან ან (სასურველია) რეფერენსირება EQF-LLL-თან** | | |
| **საკითხი** | **აქტივობა** | **შენიშვნა** |
| 11. თვითსერტიფიცირება - | 11.1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების | თვითსერტიფიცირების ან/და რეფერენსირების |

| | | |
|---|---|---|
| ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მხოლოდ ნაწილის, უმაღლესის განათლების კვალიფიკაციების შესაბამისი V-VIII დონეების თვითსერტიფიცირება | ჩარჩოს პროცედურების გათვალისწინებით შესაბამისი, ოფიციალური საექსპერტო ჯგუფის ჩამოყალიბება და უცხოელი ექსპერტების მოწვევა<br><br>11.2. თვითსერტიფიცირების ანგარიშის მომზადება დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად<br><br>11.3. თვითსერტიფიცირების დოკუმენტის განხილვა, მიღება და ევროსაბჭოში(ასევე ENIC-NARIC) გაგზავნა | განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საჭირო საკანონდებლო ცვლილებებისა და ჩარჩოს დოკუმენტის დამტკიცებისა და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ |
| 12. რეფერენსირება თვითსერტიფიცირების ნაცვლად | 12.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებითა და ევროინტეგრაციის და/ან საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან მოლაპარაკებით შესაძლებელი გახდეს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება EQF-LLL-თან<br><br>12.2. რეფერენსირების განხორციელება დადგენილი პროცედურებითა და კრიტერიუმებით, რაც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცედურებთან და კრიტერიუმებთან | 12.1. ერთიანი ჩარჩოს რეფერენსირება EQF-LLL-ის დოკუმენტით მოეთხოვებათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. ასოცირების ხელშეკრულებით ნათელი არაა მოგვეთხოვება თუ არა ჩვენ რეფერენსირება.<br><br>12.2. Referencing National Qualifications Levels to the EQF https://ec.europa.eu/ploteus/sites/eac-eqf/files/EQF%20131119-web_0.pdf |